საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

KA010198014316520

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40–51–48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40–51–48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№5337 24 / აპრილი / 2020 წ.

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტროს
ასლი: საქართველოს სახელმწიფო
უსაფრთხოების სამსახურს
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს

გიგზავნით გაერო-ს უშიშროების საბჭოს 1874 (2009) რეზოლუციის საფუძველზე შექმნილი ექსპერტთა პანელის შეტყობინებას, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ჩრდილოეთ კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის საკითხზე გაერო-ს უშიშროების საბჭოს 1718 (2006), 1874 (2009), 2087 (2013), 2094 (2013), 2270 (2016), 2321 (2016), 2356 (2017), 2371 (2017), 2375 (2017) და 2397 (2017) რეზოლუციებით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება, გადამოწმება და გაანალიზება.

ექსპერტთა პანელის მიერ მოწოდებულ წერილში საუბარია, რომ წევრი სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქართულმა მხარემ გამოხატა მზადყოფნა ჩრდილოეთ კორეასთან დაემყარებინა თანამშრომლობა სამედიცინო სფეროში და ამ მიზნით, 2020 წლის დასაწყისში, ჩრდილოეთ კორეიდან მოიწვია სამედიცინო და სავაჭრო დელეგაცია. ექსპერტთა პანელის წერილში, ასევე, საუბარია ზემოაღნიშნულ დელეგაციასა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის შესაძლო შეხვედრისა და ორმხრივი თანამშრომლობის საკითხის განხილვის დეტალებზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა პანელი ქართულ მხარეს მოუწოდებს წარადგინოს წერილით მოთხოვნილი კონკრეტული ინფორმაცია 2020 წლის 04 მაისამდე.

გთხოვთ, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, განიხილოთ თანდართული დოკუმენტი და „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის პირველი პუნქტისა და „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხზე მომუშავე სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 დეკემბრის № 487 დადგენილების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ექსპერტთა პანელის შემდგომი ინფორმირების მიზნით, 2020 წლის 03 მაისამდე მოგვაწოდოთ ექსპერტთა პანლის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია.

კითხვების შემთხვევაში, გთხოვთ, დაუკავშირდეთ საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტის თანამშრომელს - იზა სამუშიას (ტელ: 599608662; ელ-ფოსტა: isamushia@justice.gov.ge).

დანართი: 5 (ხუთი) ფურცელი

პატივისცემით,

საერთაშორისო საჯარო სამართლის
დეპარტამენტის უფროსი (პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი)

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ქეთევან სარაჯიშვილი